მოსალოდნელი შედეგები

ეს პროექტი არის ჰუმანიტარული ხასიათის. როგორც ცნობილია, ოკუპირებულ ტერიტორიებზე ცხოვრობენ საქართველოს მოქალაქეები, აქედან გამომდინარე უარი უნდა ითქვას ყოველგვარ იზოლაციაზე. დაუშვებელია, რომ მათი ბედი იყოს დამოკიდებული ოკუპანტების კეთილ ნებაზე, ამიტომ ყველაფერი უნდა გაკეთდეს, რათა ეს მოქალაქეები ჩაერთონ ყველა იმ პროექტებში, რაც საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე ხორციელდება, ეს იქნება განათლების, კულტურის თუ სხვა სოციალურ–ეკონომიური პროექტები.

ჩვენს მიერ შესრულებული სამუშაოების მიხედვით მოხდება პატარა მარცვლის შეტანა დაპირისპირებულ მხარეებს შორის ნდობის აღდგენაზე, რაც მომავალში იქნება ქართველი, აფხაზი და ოსი ეროვნების ხალხის ერთობლივი ცხოვრების საწინდარი ერთიან მრავალეთნიკურ ქართულ სახელმწიფოში.

n 4/426

აფხაზეთის უსინათლოთა და ყრუ–მუხჯაა კავშირი «ჰერა»–ს გამგეობა მადლობას უხდის დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს საელჩოს პროექტის ფინანსური მხარდაჭერისათვის.

საქართველო, ქ. თბილისი. 0103. გურჯაანის ქ. #22

ტელ/ფაქსი: (+995 32) 277 40 67;

მობ: (+995) 555 02 12 36;

ელ. ფოსტა: abkusin@hotmail.com

ვებ. გვერდი: www.hera.ucoz.com

www. youtube.com (hera 2013)

პროექტის კოორდინატორი – ბორის შკრიაბაი

ფინანსური მენეჯერი – ხვიჩა გუნია

ხმის ოპერატორები: – ვალერი ჩიჩუა,
ლევან ძირტკბილაშვილი

British Embassy
Tbilisi

ეროვნული ბიბლიოთეკა

აფხაზეთის უსინათლოთა
და ყრუ–მუნჯთა კავშირი
«ჰერა»

პროექტი

«მრავალეთნიკური და კულტურულად მრავალფეროვანი ჩვენი საქართველო»

თბილისი 2013

პრობლემის აღწერა
(არსებული სიტუაციის ანალიზი)

1990–იანი წლების დასაწყისში საქართველოში მომხდარ კონფლიქტებს მოჰყვა მოსახლეობის იძულებით გადაადგილება სამხრეთ ოსეთიდან (1989–1991წწ.), აფხაზეთიდან (1992–1993 წწ.), ხოლო 2008 წლის აგვისტოში რუსეთის ინტერვენციამ ზემო აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მოგვცა ახალი ნაკადი სხვადასხვა ეროვნების იძულებით გადაადგილებული პირებისა. ამჟამად საქართველოში ცხოვრობს დაახლოებით 300 000 დევნილი აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან, რაც საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 6% შეადგენს.

2010 წლის 27 იანვრის #107 საქართველოს მთავრობის განკარგულებით დამტკიცდა სახელმწიფო სტრატეგია ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ – «ჩართულობა თანამშრომლობის გზით». სტრატეგიაში ჩამოყალიბებული მიზნებიდან ერთ–ერთს წარმოადგენს «კულტურული მემკვიდრეობისა და იდენტობის დაცვა და შენარჩუნება», რომელიც ითვალისწინებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ჩათვლით, მცხოვრები ყველა ეთნიკური ჯგუფის კულტურული მემკვიდრეობისა და იდენტობის დაცვისა და განვითარების უზრუნველყოფას.

ყველა ერს, რომელსაც ისტორიული ცხოვრების გზა გამოუვლია, უცხოვრია თავისი საზოგადოებრივი და პოლიტიკური წყობილებით, მათ ხანგრძლივი ისტორიული ერთობის შედეგად გამომუშავებული აქვთ თავისი ტრადიციები, ფსიქიკური წყობა,ჰქონია და აქვთ თავისი ცხოვრების წესი, სარწმუნოება, რწმენა და ცრურწმენა, თავისი მიღწევები და სიძნელეები, მატერიალურ და სულიერ ღირებულებათა მისეული გაგება. ამის მიმანიშნებელია სტრატეგიაში ჩამოყალიბებული ზემოაღნიშნული მიზნის ძირითადი სტრატეგია «აფხაზური ენის პატივისცემა, დაცვა, განვითარება, პოპულარიზაცია და ასევე კავკასიის ხალხების ეთნიკურ და კულტურულ სიახლოვეზე დაფუძნებული სიახლოვეზე დაფუძნებული ღონისძიებების წახალისება და ხელშეწყობა»

პროექტის მიზანი

წარმოდგენილი პროექტი მიზნად ისახავს თანამედროვე ქართველი, აფხაზი და ოსი ეროვნების მწერლებისა და პოეტების მხატვრული ნაწარმოებების ხმოვან წიგნებად გამოშვებას იმ ოცწლიანი ვაკუუმის შესავსებად, რაც რეალურმა ცხოვრებამ და ყოფამ დაგვიტოვა.

პროექტის ამოცანები

– მხატვრული ნაწარმოებების ჩაწერა ხმოვან წიგნებად CD-R დისკებზე ქართულ, აფხაზურ, ოსურ და რუსულ ენებზე;

– ხმოვანი წიგნების ტირაჟირება და მათი მიწოდება საზოგადოების ფართო წრისათვის საქართველოს მთელს ტერიტორიაზე; დე–ფაქტო აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთის ჩათვლით პარტნიორი ორგანიზაციებისა და მოხალისეების მეშვეობით.

ფართომასშტაბიანი ღონისძიებები

პროექტის ფარგლებში ქ. თბილისში. გურჯაანის ქ. #22, აფხაზეთის უსინათლოთა და ყრუ–მუნჯთა კავშირ «ჰერა»–ს ბაზაზე შექმნილ ხმის ჩამწერ სტუდიაში მთელი წლის განმავლობაში პროფესიონალი მსახიობებისა და ჟურნალისტების (ნუგზარ ყურაშვილი,ესმა კოკოსკერია, მარინა ბეპიევი) მიერ ქართულ, აფხაზურ, ოსურ და რუსულ ენებზე ჩაწერილ იქნა თანამედროვე ქართველი, აფხაზი და ოსი მწერლებისა და პოეტების მიერ შექმნილი მხატვრული ნაწარმოებები, როგორიცაა:

დათო ტურაშვილი – «ამერიკული ზღაპრები»;
აკა მორჩილაძე – «აგვისტოს პასეანსი» (პროზა);
გელა ჩქვანავა – «ტორეადორები» (პროზა);
დიანა ანფიმიადი – «შოკოლადი» (პოეზია);
ანატოლი ლაგულაა – მოთხრობები, ნოველები (აფხაზურ ენაზე);
კატია ჯიოევა – «ჩემი წუხილი და ოცნებები» ლექსები (ოსურ ენაზე);
გურამ ოდიშარია, დაურ ნაჭყებია – «შუქი, რომელიც მუდამ ჩვენთანაა» –მიმოწერები (რუსულ ენაზე) და სხვა.